სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 147

ქ. ფოთი

12 დეკემბერი 2016 წ

ერთის მხრივ სსიპ პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ბაკურაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ნ“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის გოგი ახალაიას სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ვადები:

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა.
1.2. საქონელის დასახელება - სამაკიაჟე კომპლექტი (CPV – 33711200).
1.3. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2016 წლის 25 დეკემბრამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 422ლარი და 50თეთრი(ოთხასოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი). (იხ. დანართი №1).

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მიღება-ჩაბარებიდან აქტზე ხელმოწერისა და სასაქონლო ზედნადების (ან ანგარიშ-ფაქტურის) წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის საგნის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
4.2. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი - ზურაბ ჯიქია.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული პროდუქციის მიწოდების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლებები-ვალდებულებები

5.1.შემსყიდველს უფლება აქვს:
მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ყველა პირობის დაცვა.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვის შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
-დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2 %-ს.
7.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თეა ზარგინავა (კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი).

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზებიოს შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.
12.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“	შპს „ნ“
ს/კ 215101716	ს/კ 415 093 151
მის: ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54	მის: ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. №3.
ბანკის დასახელება	ბანკის დასახელება
სახელმწიფო ხაზინა	სს. „საქართველოს ბანკი“
	საბანკო კოდი:
	BAGAGE22
	ანგარიშის ნომერი
	GE34BG0000000898391500
დირექტორი:	დირექტორი:
/ნინო ბაკურაძე/	/გოგი ახალაია/

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	კატეგორიის/ ქვეკატეგორიის კოდი	ზომის ერთეული	მასალების რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	ბამბის დისკები	სამაკიაჟე კომპლექტი (CPV – 33711200).	ც	10	3.00	30.00
2	სველი სალფეთქი		ც	10	1.20	12.00
3	ბამბის ჩხირები		ც	10	2.30	23.00
4	წარბის საპუტი		ც	5	3.80	19.00
5	წამწამები		შეკვ.	15	3.80	57.00
6	წამწამები		შეკვ.	5	1.20	6.00
7	მაკრატელი პატარა		ც	5	3.00	15.00
8	მკვებავი კრემი		ც	5	3.00	15.00
9	ლოსიონი(მაკიაჟ. მოსაშორებელი)		ც	10	4.50	45.00
10	წარბის ფანქარი		ც	5	1.50	7.50
11	ტუჩის ფანქარი		ც	10	2.80	28.00
12	ფუნჯების პალიტრა		ც	1	50.00	50.00
13	ფუნჯების პალიტრა		ც	1	55.00	55.00
14	ფუნჯების პალიტრა		ც	1	60.00	60.00
					სულ ჯამი:	422.50

საქონლის საერთო ღირებულება - 422.50 (ოთხასოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)ლარი.

„შემსყიდველი"

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ფაზისი"

დირექტორი:

/ნინო ბაკურაძე/

„მიმწოდებელი"

შპს „ნ"

დირექტორი :

/გოგი ახალაია/